ბროდიფაკუმი 0.005% (რეთსქილერი) - (Brodifacoum 0.005%)

Brodifacoum

წამლის ფორმა: მზა ფორმის გრანულირებული მისატყუარი.

შემადგენლობა: ბროდიფაკუმი 0.005%-ანი.

გამოშვების ფორმა: 60 გ და 1კგ პოლიეთილენის პაკეტებში.

ფარმაკოლოგიური ჯგუფი: სადერატიზაციო საშუალება

ფარმაკოლოგიური თვისებები

პრეპარატი წარმოადგენს მღრღნელებთან (თაგვი, ვირთხა, მინდვრის თაგვი და სხვ.) ბრძოლის ანტიკოაგულანტურ საშუალებას.

იგი იყრება, როგორც მისატყუარი და სოროებში შხამიანი საფარის შესაქმნელად.

პრეპარატი სამი სახისაა: გრანული, ცვილის პალეტი, ცვილის ბლოკი.

პრეპარატის კუჭ-ნაწლავში შემთხვევითი მოხვედრისას მიიღეთ ვიკასოლი ან ვიტამინი K.

გამოყენების წესი და დოზები

ერთი შეფუთვა (60 გ) ნაწილდება და იყრება პატარა ქაღალდებზე და ამგვარად ლაგდება მღრღნელების ადგილსამყოფელში.

მღრღნელების სიკვდილიანობა იწყება 3-5 დღის შემდეგ. მღრღნელების სრული განადგურებისათვის უმჯობესია ამ ღონისძიებების ორჯერადად, 10 დღიანი ინტერვალით ჩატარება.

პრეპარატის ხარჯი:

60 გ პრეპარატი გამოიყენება: დახურულ შენობებსა და სათავსოებში - 10-20 $მ^2$-ზე;

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების და სათესი ფართობების 1 ჰექტარზე საჭიროა 2 – 3 კგ;

შენახვის პირობები: ინახება მშრალ, გრილ ბავშვებისაგან დაცულ ადგილას 18°C-მდე ტემპერატურაზე.

ვარგისობის ვადა: 1.,5 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: კორონი, საქართველო.